

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ**

**2012 წლის 13 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

**• კომპანია „ასიტო“ მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №39818/06**

განმცხადებელია კერძო სადაზღვევო კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია მოლდოვაში. 2005 წლის ივლისში უზენაესმა სასამართლომ აპლიკანტი დაავალდებულა, ბანკისათვის გადაეხადა გარკვეული რაოდენობის თანხა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. 2006 წლის მარტის დამატებითი განხილვით უზენაესმა სასამართლომ აპლიკანტ კომპანიას დააკისრა იურიდიული ხარჯების ანაზღაურება იმ კომპანიისათვის, რომელთანაც განმცხადებელს კონტრაქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი, მაგრამ ძირითადი საქმის განხილვებისას არ წარმოადგენდა მხარეს. აპლიკანტის აზრით, უზენაესი სასამართლოს 2005 წლის აგვისტოსა და 2006 წლის მარტის განხილვებით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი, ასევე პირველი ოქმის I მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი უზენაესი სასამართლოს მიერ დამატებითი განხილვების გამოტანის გამო კომპანიის საჩივრებთან დაკავშირებით, ხოლო არ მიიჩნია დარღვეულად აღნიშნული მუხლები უზენაესი სასამართლოს მიერ დამატებითი განხილვების გამოტანის გამო ბანკის საჩივრებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა მატერიალური და არამატერიალური ზიანის დასაფარად.*

**• ონაკა რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №22661/06**

აპლიკანტი ნიკოლაი ონაკა რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1975 წელს და ცხოვრობს ორადეაში. საქმე ეხება 2005 წლის 28 ნოემბრიდან 2006 წლის 31 იანვრამდე მის დაკავებას ბიჰორის საგამოძიებო განყოფილებაში ქრთამის აღების ბრალდების გამო. განმცხადებლის მტკიცებით ამ პერიოდში მას ამყოფებდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

**• შეგა რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №29022/04**

აპლიკანტები ტიტუს და ეკატერინა შეგა რუმინეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1925 და 1935 წლებში. ერთი განმცხადებელი გარდაიცვალა 2007 წლის 12 ივნისს, ხოლო მეორე – 2011 წლის 25 აპრილს. მემკვიდრეებად დატოვეს თავიანთი ვაჟები – სორინ შეგა და ლაფრენტი შეგა, რომლებმაც გამოთქვეს სტრასბურგში საქმის განხილვის გაგრძელების სურვილი. 1990 წლის 25 მაისს ტიტუს და ეკატერინე შეგა გერმანიაში იმყოფებოდნენ შვებულებით, როდესაც მოყვნენ ავტო-საგზაო ავარიაში მესამე პირის ბრალეულობის გამო, რომელიც ასევე რუმინეთის მოქალაქე იყო. მათი მანქანა სრულიად დამტვრეული იყო და სერიოზული ტრამეები მიყენდათ. 1993 წლის 24 მაისს

რეგისტრირებული წერილის საშუალებით მათ აღძრეს საქმე ზარალის მოთხოვნის საფუძველზე, რაც რუმინეთის სასამართლოების მიერ უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – შეცდომა, რომელიც უზენაესმა სასამართლომ აღმოაჩინა 2000 წელს – და შემდგომში უკვე დადგენილი ვადების დარღვევის გამო. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 7.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

- **ბორისოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №12543/09**

აპლიკანტი ვიახესლავ ბორისოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს ეკატერინბურგში. საქმე ეხება ეკატერინბურგში 2008 წლის სექტემბრიდან 2010 წლის ივნისამდე მისი წინასწარი პატიმრობის პირობებს. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა ლპნვენციის მე-3 მუხლი არაადამიანური პირობების გამო. ამას გარდა მას არ მიეცა უფლება სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა თავისი საქმე, რითაც მისი აზრით, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, ხოლო კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი არ მიიჩნია დარღვეულად. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 7.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **კარპენკო რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №5605/04**

აპლიკანტი კირილ კარპენკო რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1971 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის სვერდლოვსკში მდებარე შრომა-გასწორებით კოლონიაში. განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, რომელიც 2003 წლის მარტში დამამძიმებელ გარემოებებში ჩდენილ ყაჩაღობას ეხებოდა, დაფუძნებული იყო მხოლოდ მის სავარაუდო თანამზრახველებზე და მას არ ჰქონდა შესაძლებლობა ჯვარედინ დაკითხვებში მიეღო მონაწილეობა სასამართლოში, რითიც მისი აზრით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი. ამას გარდა, სასამართლოებმა, რომელთა გადაწყვეტილების საფუძველზეც მას შეუჩერდა მშობლის უფლებები, არ დართეს ნება, დასწრებოდა საქმის მოსმენებს და თანაბარ პირობებში დაეცვა თავი ყოფილი ცოლის მიმართ.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 5.200 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

**• კოლპაკი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №41408/04**

აპლიკანტი სერგეი კოლპაკი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს და ცხოვრობს პეტერბურგში. იგი დააპატიმრეს 2001 წლის ივლისში დამამძიმებელ გარემოებებში ქურდობის, ყაჩაღობის ჩადენისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობის საფუძველზე. იგი ჩივის, რომ პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების მომდევნო დამეს სცემეს და მთელი დამის განმავლობაში დატოვეს კორიდორში რადიატორზე ხელბორკილით მიბმული და არ მისცეს საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება. განმცხადებელმა მოითხოვა აღნიშნულის გამოძიება, მაგრამ უშედეგოდ.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის გამოძიების არარსებობის გამო, ხოლო არ მიიჩნია მე-3 მუხლი დარღვეულად მოპყრობის ნაწილში. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 550 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

**• მოვილატი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №8461/03**

აპლიკანტი რუსლან მოვილატი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1971 წელს. სახლის მისამართი, მას შემდეგ რაც იგი 2003 წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან, არ არის მითითებული. 2001 წლის 6 ნოემბერს იგი დააპატიმრეს, როგორც მანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი. განმცხადებელი ჩივის, რომ პოლიციის განყოფილებაში მის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, რაზედაც არ ჩატარდა ეფექტური გამოძიება.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის გამოძიების არარსებობის გამო, ხოლო არ მიიჩნია მე-3 მუხლი დარღვეულად მოპყრობის ნაწილში. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

**• ნეფიოდოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №40962/04**

აპლიკანტი სერგეი ნეფიოდოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს ირკუტსკში. იგი ჩივის, რომ არც მას და არც მის ადვოკატს – პროკურატურის წარმომადგენლებისგან განსხვავებით – არ მიეცა საშუალება, დასწრებოდა მისი სააპელაციო საჩივრების განხილვას, რომელიც ეხებოდა მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. აპლიკანტს მიაჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **აისუ თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №44021/07**

აპლიკანტი იუნუს აისუ თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1975 წელს და ამჟამად სამუდამო ვადით პატიმრობის სასჯელს იხდის დიარბაქირის ციხეში იმის გამო, რომ სასამართლომ დამნაშავედ სცნო უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის – ჰეზბოლას – წევრობის გამო. აპლიკანტი ჩივის, რომ პოლიციის განყოფილებაში მის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა და ამის თაობაზე წარდგენილ საჩივრებს არ მოჰყოლია ეფექტური გამოძიება, რაც აპლიკანტის აზრით წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ამას გარდა, განმცხადებელი ჩივის კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევაზე, რადგან იგი ხანგრძლივი ვადით იმყოფებოდა პოლიციის საპატიმროში და ასევე, მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე განიხილებოდა გაჭიანურებით, რაც განმცხადებლის აზრით, კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას წარმოადგენს.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის გამოძიების არარსებობის გამო, ხოლო არ მიიჩნია მე-3 მუხლი დარღვეულად მოპყრობის ნაწილში. სასამართლომ ასევე დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი და მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 19.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **მალიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – განაცხადი №23780/08**

აპლიკანტი ზაფარ იქბარ მალიკი ბრიტანეთის მოქალაქეა, დაიბადა 1943 წელს და ცხოვრობს ლონდონში. მან თავისი სამედიცინო პრაქტიკა დაიწყო 1978 წელს საერთო პროფილით. მას შემდეგ, რაც განხორციელდა განმცხადებლის სამუშაო ადგილის მონიტორინგი, იგი დროებით ამოშალეს იმ ექიმთა სიიდან, რომლებიც უფლებამოსილნი იყვნენ თავიანთი საქმიანობა განეხორციელებინათ ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.*

- **რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – განაცხადი №2694/08**

აპლიკანტი პატრიცია რეინოლდსი ბრიტანეთის მოქალაქე იყო, დაიბადა 1935 წელს. იგი გარდაიცვალა განაცხადის შეტანის შემდეგ და მისი საქმე დედის სახელით გააგრძელა ქალიშვილმა. საქმე ეხება ქალბატონი რეინოლდსის ვაჟის გარდაცვალებას, რომელიც შიზოფრენიით დაავადებული პაციენტი იყო და გადმოვარდა საავადმყოფოს მე-6 სართულიდან. კონვენციის მე-2 მუხლსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი დაობდა, რომ არ არსებობდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ეფექტური მექანიზმი მისი დანაკარგის კომპენსირებისათვის, რადგან სავარაუდო უყურადღებოდ მოვლის გამო გარდაიცვალა მისი ვაჟი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებაში. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 7.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 8.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

- *Y.C. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – განაცხადი №4547/10*

აპლიკანტი ბრიტანეთის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს ბრიჯუოტერში. საქმე ეხება განმცხადებლის 2001 წელს დაბადებული ვაჟის მეურვეობის პროცესს, რასაც საფუძვლად დაედო განკარგულება ბავშვის გაშვილების თაობაზე, განმცხადებელსა და ბავშვის მამას შორის არსებული ურთიერთობების გამო. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა, შეეფასებინათ იგი როგორც მისი ვაჟის ერთადერთი მომვლელი და არ გაითვალისწინეს ყველა შესაბამისი მოსაზრება, როდესაც მისი შვილის ბავშვთა სახლში მოთავსების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. აპლიკანტს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.*